

„რადიაციული ონკოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „რადიაციული ონკოლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

რადიაციული ონკოლოგია არის მედიცინის დამოუკიდებელი დარგი, რაც გულისხმობს მაიონებელი გამოსხივების სამედიცინო მიზნით გამოყენებას ონკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ. რადიაციული მკურნალობა შეიძლება ჩატარდეს დამოუკიდებლად ან მკურნალობის სხვა მეთოდებთან კომბინაციაში, როგორც ძირითადი კომპონენტი ან დამატებითი მეთოდი. ექიმ - რადიაციულ ონკოლოგს უნდა გააჩნდეს თეორიული ცოდნა და ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენციის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პაციენტთა შემდგომი მონიტორინგისათვის. ექიმი რადიაციული ონკოლოგი შედის მულტიდისციპლინურ (მრავალდარგობრივ) გუნდში და განსაზღვრავს ონკოპაციენტთა მკურნალობის ტაქტიკას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროტოკოლების, გაიდლაინებისა და ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინებით.

3. ზოგადი ცოდნა:

1. რადიაციულმა ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

- ა) ონკოპაციენტთა მრავალპროფილური მენეჯმენტისა და მკურნალობის პრინციპები;
- ბ) კლინიკური ისტორიის, ტიპური კლინიკური გამოვლენის ფორმების, დიაგნოსტიკური კვლევების, სტადირების და კლინიკო-პათოლოგიური მანიფესტირების ასპექტები;
- გ) ეპიდემიოლოგიური და ეტიოლოგიური რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, სიმსივნის მარკერები/მოლეკულური გენეტიკა, პრევენციული და სკრინინგ მეთოდები;
- დ) CT და MRI ანატომიის თავისებურებები;
- ე) რადიაციის სამიზნე მოცულობაზე და ირგვლივმდებარე კრიტიკულ (ნორმალურ) ქსოვილებზე ზემოქმედების პრინციპები;
- ვ) მწვავე და ქრონიკული რადიაციული ეფექტები და გართულებები;
- ზ) რადიოთერაპიის სხვადასხვა მეთოდები და მათი პრაქტიკაში განხორციელება (ბრაქიტერაპიის, 3D-განზომილებიანი კონფორმული რადიოთერაპიის, ინტენსივობით მოდულირებული რადიოთერაპიის IMRT, სტერეოტაქსიური რადიოთერაპიისა და რადიოქირურგიის ჩათვლით).

2. რადიაციულმა ონკოლოგმა ცოდნაზე დაყრდნობით უნდა შეძლოს:

- ა) რადიოთერაპიის სხვადასხვა ტექნოლოგიით ჩატარება;
- ბ) რადიოთერაპიის შესაბამისი დოზირების შერჩევა და მისი ჩატარების კონტროლის უზრუნველყოფა;
- გ) მკურნალობის თანმხლები და შემდგომი გართულებების პრევენცია და მართვა;
- დ) მკურნალობის შემდგომი მონიტორინგი.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	დაავადება/მდგომარეობა	საქმიანობის მოცულობა
C00 - C97	ავთვისებიანი სიმსივნეები	მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა; რადიაციული მკურნალობა; მკურნალობასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების მართვა; პაციენტის მონიტორინგი.
D00-D48	In situ, კეთილთვისებიანი, გაურკვეველი ან უცნობი ქცევის სიმსივნეები	მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა; რადიაციული მკურნალობა; მკურნალობასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების მართვა; პაციენტის მონიტორინგი.
Q27 - Q28	პერიფერიული სისხლძარღვოვანი სისტემის სხვა თანდაყოლილი ანომალიები; სისხლის მიმოქცევის სისტემის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა; რადიოქირურგია; მკურნალობასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების მართვა; პაციენტის მონიტორინგი.
K11.8	სანერწყვე ჯირკვლის სხვა დაავადებები	მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა; რადიაციული მკურნალობა. მკურნალობასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების მართვა; პაციენტის მონიტორინგი.

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმ-რადიაციულ ონკოლოგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების შედეგების ინტერპრეტაცია:

ა.ა) რენტგენოგრაფია;

ა.ბ) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია;

ა.გ) კომპიუტერული ტომოგრაფია;

ა.დ) PET/CT;

ა.ე) ულტრასონოგრაფია;

ა.ვ) სცინტიგრაფია;

ა.ზ) კლინიკური ანალიზები (ჰემატოლოგიური, ბიოქიმიური, ბაქტერიული, იმუნოლოგიური, გენეტიკური; ჰორმონალური, ალერგიული, და ა.შ.), ონკომარკერები, სეროლოგიური კვლევები;

ა.თ) მორფოლოგიური გამოკვლევა (ციტომორფოლოგია, ჰისტომორფოლოგია, იმუნოჰისტოქიმია);

ა.ი) დენსიტომეტრია.

ბ) ექიმ - რადიაციულ ონკოლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

ბ.ა) ნეოადიუვანტური რადიოთერაპია;

ბ.ბ) ადიუვანტური რადიოთერაპია;

ბ.გ) რადიკალური რადიოთერაპია;

- ბ.დ) პალიატიური რადიოთერაპია;
- ბ.ე) ოპერაციის შემდგომი რადიოთერაპია;
- ბ.ვ) წინასაოპერაციო რადიოთერაპია;
- ბ.ზ) მეტასტაზების რადიოთერაპია;
- ბ.თ) ლოკალური რეციდივის რადიოთერაპია;
- ბ.ი) პროფილაქტიკური რადიოთერაპია;
- ბ.კ) რადიოქირურგია;
- ბ.ლ) ინტრაოპერაციული რადიოთერაპია;
- ბ.მ) ბრაქიტერაპია (დაბალდოზირებული, კულსური და მაღალი დოზით).
ინტრალუმინური, ინტერსტიციული, ღრუსშიდა და ზედაპირული აპლიკატორების
გამოყენებით;
- ბ.ნ) მკურნალობით გამოწვეული გვერდითი მოვლენების პრევენცია და მართვა;
- ბ.ო) მკურნალობის შემდგომი მონიტორინგი.